
პილიგრიმობა
საბავშვო მოთხრობები ისლამი-5
ჩვენები
მაჰმადის პილიგრიმობა

# ჩვენები
# მეჰმედის პილიგრიმობა

ბავშვები მეჰმედის სახლში იყვნენ შეკრებილი. ისინი დივანზე ისხდნენ და ჩუმად ელოდნენ მეჰმედს.

მეჰმედი ოთახში შემოვიდა. მას ხელში ხურმით სავსე თეფშები ეჭირა. მეჰმედმა ხურმიანი თეფშები ბავშვების წინ დაალაგა. მეჰმედი ორი დღის წინ ჩამოვიდა მექადან, სადაც ჰაჯი შეასრულა. მას თავისი მშობლებიც ახლდნენ თან. მეჰმედის მეგობრებს აინტერესებდა ჰაჯობის ამბები და სურდათ მეჰმედისგან ეს ყველაფერი გაეგოთ. ყველანი ცნობისმოყვარეობას ჰყავდა შეპყრობილი.



- მიდი, მოგვიყევი ყველაფერი, შენ გელოდებით. ველარ მოითმინა სალიჰმა.

მეჰმედმა არ იცოდა საიდან დაეწყო.

- თვითმფრინავზე რომ დაჯექი შეგეშინდა? ჰკითხა ქერიმმა.

- თავიდან შემეშინდა, როცა აფრინდა. შემდეგ კი შიშმა გაიარა.

- ქააბა რომ დაინახე რა იგრძენი?



- ქააბა ძალიან სადა, არაპომპეზურია, მაგრამ უკიდურესად შთამბეჭდავია. მის დანახვაზე ძალიან ავღელდი. ქააბა დედამიწაზე პირველი ღვთისმსახურების ადგილია. ამიტომაა, რომ ქააბას მნახველი მუსლიმები სიხარულისგან ტირიან ხოლმე. ტირიან და ვედრებას იწყებენ.

- შუამავლის საფლავი თუ ნახე მეჰმედ? იკითხა სელმამ.

- დიახ. ვნახე.

- მოიცათ მეგობრებო, თანმიმდევრობით მოგვიყვეს. დაიძახა ომერმა.

ყველანი გაჩუმდნენ და მეჰმედს მიაჩერდნენ.



- მეგობრებო, ქალაქი მექა უდაბნოთი გარშემორტყმული ადგილია. მექას მნიშვნელობას სწორედ რომ ქააბას იქ ყოფნა განსაზღვრავს. ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ჩადის მექაში, რათა წმინდა ადგილები მოილოცოს. თუმცა ჰაჯობის სეზონის გარდაც იქ მუდმივად ჩადიან მნახველები. მორწმუნე მუსლიმები მუდმივად ჩადიან იქ წმინდა ადგილების სანახავად.

პირველი ადამიანი და შუამავალი ადამი სწორედ აქ აღავლენდა ღვთისმსახურებას. მოგვიანებით, წმ. იბრაჰიმი და მისი მეუღლე ჰაჯერი დასახლდნენ იქ. მათ ჰყავდათ შვილი ისმაილი. წმ. იბრაჰიმმა ქააბა ხელახლა ააშენა. ქააბას თავისუფლების სახლს, ან ღმერთის სახლსაც ეძახიან. წმ. იბრაჰიმის შემდეგაც ადამიანები მიდიოდნენ ქააბასთან და ლოცულობდნენ. ასე გრძელდებოდა ჰაჯის ტრადიცია. თუმცა დროთა განმავლობაში ჭეშმარიტი რწმენა შეცვლილა. ადამიანებმა ქააბა კერპებით აავსეს. წმ. შუამავალმა კი მას შემდეგ, როცა მექა აიღო, ქააბა კერპებისგან გაწმინდა.



- თქვენც იცით მეგობრებო, რომ მსოფლიოში რაც მეჩეთებია ყველა ქააბასკენაა მიმართული. ყველა მუსლიმი ქააბას მიმართულებით ასრულებს ნამაზს.

ჩვენც მექაში ჩასვლისთანავე პირდაპირ ქააბასკენ წავედით. იქ ნამაზი შევასრულეთ. იქ ძალიან ხალხმრავლობა იყო. მამამ გამაფრთხილა, ხელი არ გამიშვა, თორემ დაიკარგებიო. მომლოცველები ქააბას ირგვლივ ტავაფის რიტუალს ასრულებდნენ. ამის გამო ქააბასთან ახლოს ვერ მივედით. მოშორებით დავდექით და ღმერთს შევევედრეთ.

- არაბეთი ძალიან ცხელი ქვეყანააო ამბობენ, მართალია? იკითხა ბეთულმა.



- დიახ, ძალიან ცხელა. სასტუმროებში ყველგან კონდიციონერები მუშაობდა.

ბავშვები საუბარში იყვნენ გართული. ოთახში მეჰმედის დედა შემოვიდა. პატარა სტუმრებისთვის ზემზემის წყალი მოიტანა. ზემზემი ლამაზ ჭიქებში ჩამოსხა და ბავშვებს ჩამოურიგა.

- ნერმინ დეიდა, თქვენ ახლა ჰაჯი ხართ, ხომ? შეეკითხა სელმა.

- დიახ შვილო. თუ ღმერთი მიიღებს, ჩემი ვალდებულება მოვიხადე.

- და მეჰმედიც ჰაჯი გახდა?



- მეჰმედმაც ჩვენთან ერთად შეასრულა ყველა ვალდებულება. წმინდა ადგილები მოინახულა. თუმცა ჰაჯობა ზრდასრულ, ფინანსურად შეძლებულ მუსლიმისთვისაა სავალდებულო. მეჰმედი რომ გაიზრდება, ღმერთის წყალობით ამ ვალდებულებას მერე შეასრულებს.

- ჰაჯი რომ გახდე ძნელია, ნერმინ დეიდა? იკითხა ბეთულმა.

- არა ბეთულ. არცერთი ღვთისმსახურება არ არის ძნელი. ადამიანს რომც გაუძნელდეს ღმერთი მას დაეხმარება.

- ჰაჯის ღვთისმსახურება მთვარის კალენდრის მიხედვით ზილჰიჯჯეს თვეში სრულდება. ამ მოგზაურობის დაწყებამდე მომლოცველი ნათესავებს და ახლობლებს მოინახულებს. თუ ვინმესთან უკმაყოფილება აქვს შეურიგდება. მათ დალოცვას მიიღებს და გზას გაუდგება. მომლოცველი წმინდა ადგილებს რომ მიუახლოვდება სპეციალურ ტანისამოსს ჩაიცვამს და განსხვავებულ წესებს დაექვემდებარება. არაფატი ამ თვის მე-9 ღამესაა.



- არაფატი  ის ადგილია, სადაც ადამიანები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. წმ. ადამმა და წმ. ევამ სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ ერთმანეთი დაკარგეს და სწორედ არაფატის მთაზე შეხვდნენ. ჰაჯობაზე ადამიანები სწორედ არაფატის მთაზე ხვდებიან ერთმანეთს. შემდეგ დილამდე აქ რჩებიან და ლოცვა-ვედრებას აღავლენენ.

ამის შემდეგ მომლოცველები მუზდელიფეში მიდიან. აქა ადამიანები საკუთარ თავს განიკითხავენ. გარდა ამისა, ქვებს აგროვებენ, რათა მეორე დღეს სიმბოლურად სატანა ჩაქოლონ.

- სატანა როგორ ჩაქოლეთ, ნერიმან დეიდა? სატანის დანახვა ხომ შეუძლებელია.



- სატანის ჩაქოლვა სიმბოლურია შვილო. ეს მინაში დადგმულ სამ ქვასთან სრულდება. ისინი ბოროტებას განასახიერებენ. ოთხი დღის განმავლობაში გარკვეული პერიოდულობით სამოცდაათი ქვის სროლაა საჭირო. ამის შემდეგ მადლიერების მსხვერპლი უნდა შეიწიროს. შემდეგ ტარდება ბაირამი. მომლოცველი, რომელმაც მსხვერპლი შეწირა ქააბას ირგვლივ ტავაფს ასრულებს. ტავაფი "ჰაჯერულესვედის" მისალმებით იწყება. ჰაჯერულესვედი ქააბას კედელში დატანებული ქვაა. არსებობს რწმენა, რომ ეს ქვა სამოთხიდანაა მოტანილი. ტავაფის შემდეგ საფასა და მერვეს გორაკებს შორის საი სრულდება.

ახლა ამ ამბავსაც მოგიყვებით ბავშვებო. წმ. იბრაჰიმი იცით, ხომ?



ბავშვებმა ერთხმად უპასუხეს ვიცითო.

- წმ. იბრაჰიმი ღმერთის ბრძანებისამებრ მეუღლეს და შვილს უდაბნოში დატოვებს. ჰაჯერს და მის პატარა შვილს ცოტა ხნის შემდეგ საკვები და წყალი შემოელევათ. ჰაჯერი ჩვილისთვის წყლის ძებნას დაიწყებს. ის საფასა და მერვეს გორაკებს შორის დარბის. ზუსტად შვიდჯერ გაირბენს ამ მანძილს. იმედს საერთოდ არ კარგავს. თან ღმერთს ევედრება. ამ დროს დახედავს, რომ ძირს დადებული შვილის ფეხებთან წყარო ამოდინდება. შუა უდაბნოში წყალი ისევ ქვიშაში რომ არ დაკარგულიყო ქვიშის ირგვლივ შემოვლებას დაიწყებს. თან იძახდა თურმე: "ზემ, ზემ" ანუ შეჩერდი, შეჩერდი!

ასეა ბავშვებო, ზემზემი ღმერთის წყალობაა. იმ დღიდან მოყოლებული მოჩქეფს და არ ილევა.



ბავშვებს ხელში ეჭირათ ზემზემით სავსე ჭიქები და პატარა ისმაილზე ფიქრობდნენ. ამ წმინდა წყალში საუკუნეების წინანდელი გემო იგრძნობოდა.

ნერმინ დეიდამ გააგძელა:

- ბავშვებო, ჰაჯობაზე ყოფნისას უკეთ გავაცნობიერებთ, რომ არსებობს ღმერთი და ჩვენ მისი გაჩენილი მონები ვართ. ქააბაში შეკრებილი ადამიანები ყველანი თანასწორნი არიან. ყველას მიზანი ერთია. გარდა ამისა იმ ადგილებსაც ვხედავთ, სადაც წმ. შუამავალი მუჰამმედი ცხოვრობდა. ეს, ყოველი მუსლიმისთვის განსაკუთრებული რამაა.

ნერმინ დეიდას თვალები აუცრემლიანდა. სულ რაღაც ორი დღეა რაც დაბრუნდა და ის ყველაფერი უკვე ენატრებოდა.



ჰაჯობის ამბების მოყოლამ ყველანი ააღელვა.

ყველას უნდოდა ღმერთის სახლი და წმ. შუამავლის ნაცხოვრები ადგილები ენახა.

მეჰმედის დედამ ცარიელი ჭიქები გაიტანა.

- შენც ჩაიცვი იჰრამის ტანსაცმელი? ჰკითხა მეჰმედს ომერმა.

- ეს იჰრამი რა არის? წამოიძახა სალიჰმა.



- იჰრამის ტანსაცმელი ირი ნაჭერი თეთრი მატერიაა. მისი ჩაცმა ყველასთვის სავალდებულოა. იჰრამის ჩაცმისას ასევე სავალდებულოა ვედრების წაკითხვა, რომელსაც თელბიე ეწოდება.

- რამდენი რამ გისწავლია. თქვა ქერიმმა.

- წასვლამდე მამას წიგნი მისცეს. ჰაჯობის რიტუალის სწორად შესრულებისთვის ყველამ ის წიგნი წავიკითხეთ და ვისწავლეთ.

მეც მამასთან ერთად წავიკითხე და ყველაფერს გავეცანი.



muslim georgia

- ჰაჯობის დასრულების შემდეგ მედინაში წავედით. იქ, შუამავლის, მისი ახლობლებისა და მეგობრების საფლავები მოვინახულეთ. იმ სასაფლაოს "ჯენნეთულბაქი" ეწოდება. შემდეგ ქუბას მეჩეთში წავედით, სადაც პარასკევის პირველი ლოცვა, ჯუმა შესრულდა. ლოცვა შევასრულეთ მესჯიდი ნებევიში.



მეჰმედს ხმა აუთრთოლდა. წმ. შუამავლის ნაცხოვრები ადგილები გაახსენდა. ახლაც იგრძნო გულში მადლიერება.

- წმ. შუამავლის ნაცხოვრები ადგილების ნახვა სულ სხვა რამეა მეგობრებო. ამას ენით ვერ აღვწერ. ღმერთის დახმარებით თქვენც წახვალთ და ნახავთ. თქვენც იგრძნობთ იმას, რასაც მე ვგრძნობ.

ყველამ ჩუმად თქვა "ამინ"!



- იქ ყოფნისას ჩვენთვისაც ხომ ილოცე მეჰმედ? ჰკითხა სალიჰმა.

- რა თქმა უნდა მეგობარო. ყველა თქვენგანისთვის შევევედრე ღმერთს. ვთხოვე თქვენც ჩასულიყავით იქ.

მეჰმედმა ხურმის თეფშიც აიღო, რომელიც დაცარიელებულიყო. მექაში და მედინაში შეძენილი საჩუქრები უნდა მოეტანა. მეჰმედი გავიდა და ისევ მალევე დაბრუნდა. ბევრი საჩუქარი მოიტანა: სალოცავები, თესპები (კრიალოსანი) და სხვა.

ბავშვები მეჰმედს გარს შემოეხვივნენ. ყველანი გახარებული ინაწილებდნენ საჩუქრებს.

